ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 123

ქალაქი ქუთაისი 30 მაისი 2025 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში, საკრებულოს ნაწილში ვიდეო მონიტორინგის
განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ

,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-16 მუხლის საფუძველზე, **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს ნაწილში ვიდეო მონიტორინგის განხორციელების წესი, დანართის შესაბამისად.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს ნაწილში ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი წინამდებარე ბრძანებას თან ერთვის)

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა N 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის 2025 წლის 30 მარტის №123 ბრძანების
დანართი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს ნაწილში, ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი (შემდგომში - წესი), ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით (შემდგომში - კანონი) დადგენილი პრინციპების შესაბამისად, განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს ნაწილში, ვიდეომონიტორინგის მიზნებსა და მოცულობას, ვიდეომონიტორინგის ხანგრძლივობას, ვიდეომონიტორინგის განხორციელების შედეგად მიღებული ვიდეოჩანაწერების (შემდგომში - ვიდეოჩანაწერი) შენახვის ვადას, ვიდეოჩანაწერებზე წვდომის, მათი შენახვისა და განადგურების წესსა და პირობებს, ასევე, მონაცემთა სუბიექტის დაცვის მექანიზმებს.

2. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მუხლი 2. ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანი და საფუძვლები

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში (რუსთაველის გამზირი №3) ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზანს, წარმოადგენს საკრებულოს თანამშრომელთა და სხვა პირების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, საკუთრებისა და სხვა კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე ადამიანის უფლებების დაცვაზე მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელება.

2. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისა და მონაცემთა დამუშავების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუცია, ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი, ეს წესი და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები.

მუხლი 3. ვიდეომონიტორინგის განხორციელების პრინციპები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა დაცვის პრინციპები.

2. პირი, რომლის პერსონალური მონაცემებიც მუშავდება, სარგებლობს ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებებით.

მუხლი 4. თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირები ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში (რუსთაველის, გამზირი №3) განთავსებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ქალაქ ქუთაისის მერია და ქალაქ

ქუთაისის საკრებულო, სადაც ვიდეო მონიტორინგის განხორციელების პროცესში ისინი წარმოადგენენ ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლით გათვალისწინებულ თანადამუშავებისათვის პასუხისმგებელ პირებს. ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, საკრებულოს ნაწილში, არსებული ვიდეო კამერები არის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრება, რომლის მონტაჟს, დემონტაჟსა და კონტროლს ახორციელებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ვიდეომონიტორინგს გამომდინარე იქედან, რომ მის მატერიალურ საკუთრებას წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში განთავსებული ტექნიკური გადამღები საშუალებები. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს თანადამმუშავებელს, რადგან ქალაქ ქუთაისში, რუსთაველის გამზირ №3-ში განთავსებული შენობის პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე სართულის ნაწილი კაბინეტებისა უჭირავს საკრებულოს.

მუხლი 5. ვიდეომონიტორინგის განხორციელება

1. ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში განთავსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა იძლევა მხოლოდ ვიზუალური მონიტორინგის შესაძლებლობას. არ მიმდინარეობს აუდიო ჩაწერა.

2. ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში არსებული ვიდეომონიტორინგის სისტემა იძლევა მხოლოდ ვიზუალური მონიტორინგის შესაძლებლობას. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება 24 საათიანი ჩანაწერის რეჟიმით, 64 ვიდეოკამერით ადგილობრივი თვითმმართველობის შენობაში, კერძოდ შემოსასვლელ სივრცეში, დერეფნებსა და გარე პერიმეტრზე. ვიდეომონიტორინგის სისტემა უნდა განთავსდეს ისე, რომ შესაძლებელი იყოს პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიცირება.

3. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება მონაცემთა მართვის ოთახში განთავსებულ სერვერებზე. არანაკლებ 1 (ერთი) თვის ვადით, რა დროსაც ხორციელდება ახალი ინფორმაციის ავტომატური გადაწერა. ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე არსებული ინფორმაციის ავტომატურად წაშლის შედეგად.

4. ვიდეომონიტორინგის განხორციელება დაუშვებელია ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში ვიდეომონიტორინგის განხორციელებამ არ უნდა ჩაანაცვლოს ადმინისტრაციული შენობის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების მიერ, ადმინისტრაციულ შენობაში შემომსვლელ პირთა შემოწმება და მათთან უშუალო კონტაქტის დამყარება.

6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში ვიდეომონიტორინგის სისტემა, უნდა განთავსდეს, ისეთი განლაგებით, რომ შესაძლებელი იყოს პირების ვიზუალურად დანახვა და იდენტიფიცირება.

მუხლი 6. ვიდეომონიტორინგის განხორციელებასა და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტის უფლებები.

2. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება ამ მიზნით სპეციალურად მოწყობილ, დაცულ ოთხში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების IT განყოფილების სპეციალისტებისა და მეორადი სტრუქტურული ერთეულის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის (შემდგომ - დაცვის პოლიცია)

უფლებამოსილი მოსამსახურის მიერ. მერიასა და დაცვის პოლიციას შორის გაფორმებული დაცვითი მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შენობაში ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებად განსაზღვრულ არიან, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეული, ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები და დაცვის პოლიციის უფლებამოსილი მოსამსახურეები.

4. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებულ მონაცემთა დამუშავებაზე (ნახვა, გადახვევა, ამოღება, გადმოწერა ან/და დაარქივება) პასუხისმგებელ პირებად, განსაზღვრულ არიან, ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები, რომლებსაც, ამასთანავე აქვთ ვიდეომონიტორინგის რეალურ დროში განხორციელების უფლებამოსილება. ვიდეომონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების დამუშავება ხორციელდება ამ მიზნით გამოყოფილ ოთახში (შემდგომში ,,მონაცემთა მართვის ოთახი").

5. აკრძალულია მონაცემთა მართვის ოთახში ფოტო/ვიდეო/აუდიო გადაღება/ჩაწერა და ტექნიკური ან/და ელექტრონული მანიპულაციები, გარდა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა.

მუხლი 7. ვიდეომონიტორინგზე და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლება-მოვალეობები

1. ვიდეომონიტორინგზე და მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილმა პირმა აუცილებელია შეასრულოს შემდეგი უფლება-მოვალეობები:

ა) ვიდეომონიტორინგის სისტემაზე დაშვება განახორციელოს, მხოლოდ მასზე განპირობებული მომხმარებლის საშუალებით;

ბ) მიუკერძოებლად განახორციელოს ვიდეომონიტორინგი;

გ) ვიდეომონიტორინგის პროცესში გამოვლენილი დარღვევის შესახებ შეატყობინოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს - აპარატის უფროსს;

დ) დაიცვას ინფორმაციის უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის პრინციპი.

მუხლი 8. გამაფრთხილებელი ნიშნები ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ

1. ვიდეომონიტორინგის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშანი განთავსებული უნდა იქნას თვალსაჩინო ადგილას, თითოეულ ვიდეოკამერასთან.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით განსაზღვრულმა, პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილებამ, ვალდებულია უზრუნველყოს, ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნ(ებ)ის თვალსაჩინოდ განთავსება.

3. სამუშაო ადგილზე ვიდემონიტორინგისა და საკუთარი უფლებების შესახებ თვითმმართველობის ადმინისტრაციულ სივრცეში მომუშავე, საკრებულოს თანამშრომლები, დამატებით არიან წერილობით ინფორმირებული ვიდეომონიტორინგის განხორციელების კონკრეტული მიზნისა და ფარგლების შესახებ.

მუხლი 9. ჩანაწერთა გადაცემის წინაპირობები

1. ვიდეო სათვალთვალო სისტემის ჩანაწერების დათვალიერება და/ან მესამე პირებზე გადაცემა დასაშვებია:

ა) სამართალდამცავი ორგანოებისათვის, მხოლოდ მოსამართლის განჩინებისა ან პროკურორის დადგენილების საფუძველზე;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

2. ვიდეომონიტორინგის სისტემის ჩანაწერების დათვალიერების და/ან მესამე პირებზე გადაცემის ყველა შემთხვევა აღირიცხება ზუსტი დროის მითითებით, სადაც ასევე მიეთითება შესაბამისი პირებისა და დათვალიერების/გადაცემის საფუძვლებიც.

მუხლი 10. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

1. ნებისმიერ პირს, რომელიც ხვდება ან შეიძლება მოხვდეს ვიდეომონიტორინგის ქვეშ, დაფიქსირდეს ვიდეო კამერის მეშვეობით, უფლება აქვს მოითხოვოს:

ა) მიიღოს მისი ვიდეოჩანაწერის ასლი;

ბ) მიიღოს ინფორმაცია ვიდეომონიტორინგის განხორციელების მიზნისა და სამართლებრივი საფუძვლის შესახებ;

გ) მოითხოვოს ვიდეოჩანაწერის წაშლა, დაბლოკვა, გასწორება;

დ) მონაცემთა სუბიექტს უფლებ აქვს, მიიღოს ინფორმაცია ვიდეოჩანაწერის მესამე პირებისთვის გადაცემის შესახებ, თუ არ არსებობს მონაცემთა სუბიექტის უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი და საფუძველი;

ე) მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს ისარგებლოს მონაცემთა სუბიექტისთვის კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. ამ მუხლით გათვალისწინებულ საკითხებს განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესებისა და შეზღუდვების გათვალისწინებით.

მუხლი 11. მონაცემთა სუბიექტის განცხადებით მიმართვა ქალაქ ქუთაისისმუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის

1. მონაცემთა სუბიექტის, მიერ მისი უფლებების განხორციელების მიზნით, საკრებულოსთვის განცხადებით მიმართვის შემთხვევაში, საკრებულოს აპარატის უფროსი განიხილავს განცხადებას, საკრებულოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან ერთად.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულების ფარგლებში, სამართლებრივი დახმარების გაწევის თხოვნით მიმართავს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას, რადგან ვიდეომონიტორინგის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, საკრებულოს ტერიტორიაზე არიან მერიის ადმინისტრაციული სამსახურის სტრატეგიული კომუნიკაციების განყოფილების IT სპეციალისტები და საჯარო სამართლის იურიდიული პირის - დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი.

3. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხის შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მოახდენს, მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის დაკმაყოფილებას ან მის მოთხოვნაზე უარის თქმას.

მუხლი 12. ვიდეოჩანაწერების შენახვა, დაარქივება და წაშლა/განადგურება

1. ვიდეომონიტორინგის განხორციელებისას ინფორმაციის ჩაწერა მიმდინარეობს ავტომატურ რეჟიმში. ჩაწერილი მონაცემები ინახება მონაცემთა მართვის ოთახში განთავსებულ სერვერებზე, არანაკლებ 1 (ერთი) თვის ვადით, რა დროსაც ხორციელდება ახალი ინფორმაციის ავტომატური გადაწერა, ამავე მოწყობილობის მეხსიერებაზე, არსებული ინფორმაციის ავტომატურად წაშლის შედეგად.

2. ჩამწერ მოწყობილობაზე აკრძალულია ნებისმიერი ელექტრონული აპარატის მიერთება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სპეციალური მიზნებისთვის, ხდება ჩანაწერის დაარქივება/ამოღება, ან ტექნიკური ჯგუფის მიერ ხორციელდება შესაბამისი სამუშაოები.

3. ჩამწერი მოწყობილობა დალუქული უნდა იყოს იმგვარად, რომ სხვა ელექტრონულ მოწყობილობასთან დაკავშირება შეუძლებელი იყოს ლუქის დაზიანების გარეშე.

საკრებულოს თავმჯდომარე ირაკლი შენგელია